პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 198 (4192)

1970 წ. 8 ოქტომბერი, ხუთშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



ალმართი.

ა. გურასაშვილის ფოტო.

# ანგარიშგება-არჩევნები — მოწოდების სიმაღლეზე!

წლევანდელი წლის ბოლო კვარტალში ეწყობა ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტკლუბების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, სპორტსაზოგადოებების რაიონული, საქალაქო, საოლქო, საგზაო, დარგობრივი საბჭოების კონფერენციები.

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტკლუბების, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რაიონული, საქალაქო, საოლქო, საგზაო, დარგობრივი საბჭოების ანგარიშგება-არჩევნების მაღალ დონეზე გამართვას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებაში. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას. ისინი ვალდებულნი არიან ანგარიშგება-არჩევნები ჩაატარონ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი გაუმჯობესების, ფიზკულტურის კოლექტივების, სპორტული კლუბების, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოების საბჭოების საქმიანობის, სპორტსმენთა დაოსტატების ამაღლების ნიშნით, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის აგვისტოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისთვის; პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გაატარონ ღონისძიებანი ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების შემადგენლობათა ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით, იზრუნონ საზოგადოებრივი აქტივის გაფართოებისა და ფიზკულტურის კოლექტივებში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის შემდგომი განვითარებისთვის.

საქართველოს ფიზკულტურულ კოლექტივებში, სპორტკლუბებში, რაიონულ, საქალაქო, საოლქო, საგზაო საბჭოებში ანგარიშგება-არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შესაბამისი გადაწყვეტილებანი მიიღეს.

ამ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, ფიზკულტურული კოლექტივების, აგრეთვე, რაიონული, საქალაქო და დარგობრივი საბჭოების კონფერენციები 1 დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს, საოლქო, საგზაო, საუწყო საბჭოების კონფერენციები — წლის ბოლომდე.

„განთიადის“, „კოლმეურნის“ ცენტრალურ საბჭოებს, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „ვოდნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოებს, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოებს დაევალათ იზრუნონ ფიზკულტურული კოლექტივებისა და საბჭოების კონფერენციების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის, საბჭოების შემადგენლობაში ახლად არჩეულთა მოსამზადებელი კურსებისა და სემინარების მოწყობისთვის.

## ყველაზე მასობრივი

ქობულეთის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს რაიონის V საიუბილეო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ქართული და თავისუფალი ჭიდაობა.

ეს ასპარეზობა ყველა წინა სპარტაკიადაზე მასობრივია — ტურნირებში რაიონის 20 კოლექტივი ჩაება. უკვე დამთავრდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

მძლეოსან ვაჟებში ჩემპიონები გახდნენ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს წარმომადგენლები. II ადგილზე გავიდნენ მუხაესტატეს საშუალო სკოლის, ხოლო III — ქალაქის მე-2 რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეები.

ქალთა შორის გაიმარჯვეს საქართველოს სოფლის სკოლების მძლეოსანთა ჩემპიონებმა — მუხაესტატეს სკოლის სპორტსმენებმა. II ადგილზეა „კოლმეურნის“ გუნდი, III — მე-2 რუსული საშუალო სკოლის ნაკრები.

ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობა ოთხ ჯგუფად გაიმართა. ჯგუფებში გამარჯვებულნი ფინალში ერთმანეთს წრიული სისტემით შეეჯიბრნენ. ჩემპიონი გახდა „კოლმეურნის“ გუნდი. II ადგილზეა კურორტვაჭრობის კოლექტივი, III — ა. წერეთლის სახელობის ქალაქის საშუალო სკოლის ნაკრები.

„კოლმეურნის“ სპორტსმენებმა ქალთა ტურნირშიც იმარჯვეს. II ადგილზე არიან მე-2 რუსული საშუალო სკოლის, III — ოჩხამურის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობა ჩაქვის ჩაის ფაბრიკების ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ მუხაესტატეს საშუალო სკოლის, III — „კოლმეურნის“ წარმომადგენლები. პირად ჩათვლაში იმარჯვეს მ. პოლიტოვამ („კოლმეურნე“) და ლ. ბერკუტოვმა (მე-2 სკოლა).

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

## ჩვენს ქვეყანაში

### ცურვა — ცალკე საგნად

აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს ბრძანებით, რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში I-III კლასების მოსწავლეებისთვის სასწავლო პროგრამაში დამოუკიდებელ საგნად შეიტანეს ცურვა.

— ამ გადაწყვეტილებამ, — თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შ. ორდუხანოვმა, — ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებს შორის ცურვის პოპულარიზაციას, სპორტის ამ სახეობის მასობრიობის განვითარებას.

ბავშვებთან სამუშაოდ მოწვეული არიან მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები. თავდაპირველი მათი ამოცანა ისაა, რომ ბავშვებს, უბრალოდ, წყალზე გაჩერება ასწავლონ. შემდეგ განსაკუთრებით ნიჭიერებს გამოყოფენ და ცალკეული სკოლების ბაზაზე შექმნიან სპეციალიზებულ კლასებს განსხვავებული პროგრამით.

(საქდესის კორ.).

ბაქო.

### ფეხბურთელთა მატჩები იაკუტსკში

იაკუტსკის „სპარტაკის“ რესპუბლიკურ სტადიონზე, რომელსაც ირგვლივ პირველი ყინვით შეფერადებული არყის ხისა და ლარიქსის ჭალა აკრავს, ჩატარდა ფეხბურთელთა გუნდების ტრადიციული ასპარეზობა „ოქროს შემოდგომის“ თასზე. გაიმარჯვეს სამოქალაქო ავიაციის სპორტსმენებმა.

„აეროფლოტის“ გუნდი ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესია იაკუტეთში. ამასთან, მას ბევრჯერ მოუგია რესპუბლიკური შეჯიბრება, ხოლო 1948 წელს (მაშინ გუნდს „სამოლიოტი“ ერქვა) I ადგილი დაიკავა თანაკლუბელთა შორის სსრ კავშირში. ახლა „აეროფლოტში“ ბევრი გამოცდილი მოთამაშეა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გუნდის კაპიტანმა, ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვ. ნომეროვსკიმ. როცა თასის საკითხი წყდებოდა, მან 3 გოლი გაიტანა.

დ. ბუბიაკინი.
(საქდესის კორ.).

იაკუტსკი.

### სპარტაკიადა ტყეში

გულბენის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორმა ე. გულბისმა 10 გასროლით 10 გარეული ტახი მოკლა. ასეთი სნაიპერული ოსტატობა ბევრს შეშურდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე სიმაღლეზე იდგნენ ლატვიის სხვა სატყეო-სამრეწველო მეურნეობების დირექტორებიც, იოლი წარმოსადგენია, როგორ გაჩანაგდებოდა გარეული ღორების მოდგმა, ეს რომ სპორტული ასპარეზობა არ ყოფილიყო და მონაწილეებს სამიზნეებად ფირფიცრის ტახები არ ჰქონოდათ.

„გაქცეულ ტახზე“ სროლა ლატვიის სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის მუშაკთა IX სპარტაკიადის პროგრამაში დამატებით შეიტანეს, მაგრამ გაისიდან იგი უკვე სავალდებულო იქნება. ეს პროგრამა ოლიმპიელებისგანაა გადმოღებული, მაგრამ ამჯერად იგი სამონადირეო ეთიკასაც შეუფარდეს. შეჯიბრება ტარდება არა შაშხანებით, არამედ გლუვლულიანი თოფებით.

„მეტყევეთა სპარტაკიადები“ სულ უფრო ხალხმრავალი და საინტერესო ხდება. წლეულს ამ შეჯიბრებაში ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. გუნდური გამარჯვება მოიპოვა ტალსინსკის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის კოლექტივმა, რომელსაც სპორტის ოსტატი ა. გერმანისი ხელმძღვანელობს.

მ. კერეჟინი.
(ლატვიის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

რიგა.

### სპარტაკიადა... ოკეანეში

ასპარეზობა რუსეთის ფედერაციის V სპარტაკიადის პროგრამით გაიშალა... გაშლილ ოკეანეში, შორეული აღმოსავლეთის თევზის სარეწ გემებზე.

როგორც ვეშაპზე სანადირო ბაზა „დალნი ვოსტოკიდან“ იტყობინებიან, ზღვაოსნებმა ჩაატარეს ფლოტილიის გუნდური პირველობები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, სროლაში, რიკაობაში, შაშში, კალათბურთში, ბაგირის გადაძალვაში. იგივე შეჯიბრებები ჩატარდა ვეშაპზე სანადირო ფლოტილიის „ვლადივოსტოკის“ ბაზაში.

მასობრივი შეჯიბრებები მოეწყო საბჭოთა მიწის განაპირას — მეთევზეთა კუნძულ შიკოტანზე. უძლიერესთა წოდებისთვის 250 მეთევზე იბრძოდა. აქ პროგრამაში იყო, თუ შეიძლება ითქვას, სპორტის პროფესიული სახეობაც — ბაგირის ტყორცნა, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ გემების დაბმის დროს. გაიმარჯვა მცურავი ქარხნის „ვასილი ბლიუხერის“ კოლექტივმა, რომელმაც საერთო გუნდური პირველობა დაისაკუთრა.

შორეული აღმოსავლეთის მეთევზეთა კოლექტივი 160 ათასამდე კაცს ითვლის. ისინი შრომობენ ზღვაში და სანაპიროზე გაშენებულ საწარმოებში. ყველა საწარმოს აქვს თავისი ფიზკულტურის კოლექტივი, რომელიც „სპარტაკში“ შედის.

(საქდესის კორ.).

ვლადივოსტოკი.




გამოწერის ფასი:

1 წლით — 7 მან. 80 კაპ.
6 თვით — 3 მან. 90 კაპ.
3 თვით — 1 მან. 95 კაპ.
1 თვით — 65 კაპ.

გამოწერა შეუზღუდავია

# სპორტის კანონი

ალექსანდრე ავალიანი 34 წელია თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობს. მალე 70 წლისა გახდება, მაგრამ აბა ვის მოუბრუნდება ენა, ვინ იტყვის — დაბერდა ალექსანდრე მასწავლებელიო. იგი დღესაც ბევრ ახალგაზრდას არ დაუდებს ტოლს ენერგიითა და საქმის სიყვარულით.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის 50-ე წლისთავს, რომელიც გაისად უსრულდება, ალექსანდრე ავალიანი ლენინის, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით მკერდდამშვენებული ხვდება.

არ შემცდარან კოლეგები, როცა სასკოლო მუზეუმის დირექტორობა სწორედ ალექსანდრეს, სკოლის ამ ცოცხალ მატიანეს სთხოვეს. ბევრის მომსწრე და მნახველ მასწავლებელს არ გასჭირვებია საინტერესო ექსპონატების შეგროვება.

— 1915 წელს ამ ადგილას ორკლასიანი საეკლესიო სკოლა იყო, — გვიამბობს ალექსანდრე. — სკოლას ორად ორი ოთახი ჰქონდა. მოსწავლეები მშობლების მიერ შექენილ მერხებზე ისხდნენ.

ახლა კი ოთხსართულიან უზარმაზარ შენობაში 1700-მდე ბავშვი სწავლობს. აქ ყველა პირობაა შექმნილი მეცნიერებათა საფუძვლების დასაუფლებლად. ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ესთეტიკისა და სხვა საგნების კაბინეტები შესანიშნავადაა აღჭურვილი. კარგადაა მოწყობილი ბიბლიოთეკა, კინო და სააქტო დარბაზებიც, მაგრამ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მაინც სპორტული დარბაზები ტოვებს.

მცირე სპორტულ დარბაზში დაწყებითი კლასების მოსწავლეები მეცადინეობენ. უფროსი კლასების მოსწავლეთა განკარგულებაშია დიდი და ნათელი დარბაზი, რომელიც შარშან ჩადგა მწყობრში.

ვინ მოთვლის, რამდენი სასახელო მამულიშვილისთვის მიუცია ცხოვრების საგზური 53-ე სკოლას...

ეს სკოლა ცნობილია თავისი სპორტული ტრადიციებითაც. აქ აღიზარდნენ ცნობილი კალათბურთელები ლევან მოსეშვილი და თამაზ ტოგონიძე, ფეხბურთელი ავთანდილ ჭკუასელი და სხვები, რომლებმაც არაერთგზის დაიცვეს ქართული სპორტის ღირსება საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. ბევრ სპორტსმენს მშობლიური სკოლის მუზეუმისთვის გადაუცია სხვადასხვა შეჯიბრებაში მოპოვებული ჯილდოები. აი, სტენდზეა გამოფენილი ნ. ანდრიაძის მედალი, რომელიც მას 1963 წელს ბელგიის ქალაქ გენტში მიუღია მსოფლიოს ჭაბუკ რაპირისტთა შორის I ადგილის დაკავებისთვის. აქვეა მოფარიკავეების ო. საკანდელიძის, დ. შარაშენიძის, თ. ზაუტაშვილის და სხვათა მედლები.

არაერთი სახელოვანი გამარჯვება მოუპოვებიათ 53-ე სკოლის კალათბურთელებს რესპუბლიკისა და თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადებში. კალათბურთი ამჟამად სპორტის მთავარი სახეობაა სკოლაში. აქ კალათბურთელთა ოთხი სექცია მუშაობს, რომლებშიც ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი ხვეწს ტექნიკას.

არც ტანვარჯიშისა და ფრენბურთის სექციებია დატოვებული უყურადღებოდ.

— ჩვენ ყველა პირობა გვაქვს შექმნილი, რათა ბავშვებმა სპორტში წარმატება მოიპოვონ, — გვითხრა სკოლის დირექტორმა ლამარა მარგველაშვილმა. — ეს არის ჩვენი სპორტული ბაზა და კარგი პედაგოგები, რომლებისგან სამართლიანად მოვითხოვთ სკოლის სპორტული ტრადიციების გაგრძელებასა და გამძლავრებას.

ამჟამად სკოლაში შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა ტარდება. ამ შეჯიბრებაში შეირჩევიან ნიჭიერი ჭაბუკები და გოგონები, რომლებიც შემდეგ მშობლიური სკოლის სახელს რაიონ[illegible] ასპარეზზე დაიცავენ. ბევრი მათგანი უკვე საქართველოს და თბილისის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში შედის, მათ შორის აღმზრდელები პირველ ყოვლისა ასახელებენ მეათეკლასელ ო. ზირაქაძეს, მეცხრეკლასელ დ. ჟორდანიას, მეცხრეკლასელ ქეთევან ცფხაზავას...

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები შალვა შალამბერიძე, ალექსანდრე ავალიანი, ნორა მანკოვსკაია და ილია ნათაძე ზრუნავენ, რომ არც ერთი ბავშვი სექციის გარეშე არ დარჩეს.

ახლა მასწავლებლები დაწყებითი კლასების მოსწავლეებს აკვირდებიან, სწავლობენ ბავშვების მონაცემებს, მიდრეკილებებს, ეძებენ მომავალ სპორტის ოსტატებს, აბამენ მათ სექციების მუშაობაში.

გაივლის წლები. დღეს ჯერ კიდევ სუსტი, ნაზი ბავშვები ჯანმაგარ ათლეტებად იქცევიან. ასეთია სპორტის კანონი.

ო. ზამათავა.

# „ჯანის სიმრთელე უპირველესი ბედნიერებაა!"

## ჟურნალი „მოგზაური" ფიზიკური აღზრდის შესახებ

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე შეიქმნა ფიზიკური აღზრდის თეორია, როგორც იმ პერიოდში ფორმირებული პედაგოგიკური მეცნიერების შემადგენელი ნაწილი. შეხედულებათა ამ მწყობრი სისტემის სრულყოფას კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ მომდევნო პერიოდში გამოცემული ჟურნალ-გაზეთებიც, რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ უპრეტენზიო, მაგრამ საკმაოდ ხელშესახები მემკვიდრეობის დამტოვებელი ჟურნალი „მოგზაური" (1901-1904 წ.წ.). ჟურნალში პედაგოგიკურ მიმართულებას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა. „ჩვენ, — წერდა ჟურნალის ავტორი „ჭეშმარიტების მოყვარე", — ბედმა გვაჩუქა ახალი პერიოდული გამოცემა ჟურნალი „მოგზაური", რომელშიაც უპირველესი ადგილი აქვს დათმობილი პედაგოგიურს განყოფილებას. ამ ჟურნალში, გარდა უცხო ლიტერატურიდან გადმოკეთებულ პედაგოგიურ წერილებისა, მოთავსებულია ბევრი ორიგინალური წერილებიც" (1903 წ. № 9-10).

ფიზიკური აღზრდის საკითხებს ჟურნალი „მოგზაური" საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს და, რაც მთავარია, მეთოდურად სწორი პოზიციებიდან აშუქებს მას. ეყრდნობოდა რა რობერტ ოუენის აზრებს, აი, როგორ გადმოსცემდა ჟურნალი აღზრდისა და, კერძოდ, ფიზიკური აღზრდის მიზანს: „სრული ბედნიერება მდგომარეობს სხეულის ჯანმრთელობაში და სულის სიმშვიდეში. მხოლოდ იმისათვის კი, რომ კაცი სიყმაწვილიდგან სიბერემდის ჯანმრთელი იყოს და სულიერი სიმშვიდე ჰქონდეს, საჭიროა იმ დაუძლეველ თვისებათა, რომელთაც ეხლა აუარებელ ტანჯვის მეტი არა მოაქვს რა, ისეთი მიმართულება მიეცეს, რომ გაუბედურების მაგიერად გააბედნიეროს იგი" (1903 წ. № 1-2). ისე როგორც სხვა ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებს, „მოგზაურსაც" მიაჩნია, რომ ფიზიკური აღზრდა სრულიად თანაბარ ადგილს უნდა იკავებდეს აღზრდის სხვა მხარეთა შორის. მას სწამს, რომ „ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი აღზრდა მარად ხელი ხელ ჩაკიდებულნი უნდა მიმდინარეობდნენ, მარად ურთიერთს უნდა ეხმარებოდნენ, მისაღწევად რაც შეიძლება სავსეთ აღმზრდელობითთა შედეგთა" (1904 წ. № 7-8). ბუნებრივია, ჟურნალის ასეთ შეხედულებებს ტონს აძლევდა მისი რედაქტორი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი: ამ მხრივ მის წერილთა შორის შეიძლება დავასახელოთ „გრძნობათა და ნერვების აღზრდა" (1904 წ. № 1-2), სადაც შემდეგი დასკვნაა გაკეთებული: „მაშ ეგრე: ბავშვთა ნერვების და გრძნობების წესიერად აღზრდისათვის საჭიროა 1) გონიერად კვება და ფიზიკური აღზრდა ბავშვისა და 2) ფიზიკური და სულიერი სისრულე, ე. ი. სრული ჰარმონია".

აღზრდისა და, მასთან, ფიზიკური აღზრდის როლისა და მნიშვნელობის პოპულარიზაციის მიზნით, „მოგზაურში" სისტემატურად იბეჭდებოდა სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები უცხოეთის ცნობილი პედაგოგების შემოქმედებაზე. ამ მხრივ ბევრი გააკეთა ჟურნალის აქტიურმა თანამშრომელმა ა. ტატუნაშვილმა. იგი მაღალ შეფასებას აძლევს რაბლეს (1902 წ. № 11-12), რომელიც რომანში „გარგანტუა და პანტაგრუელი" დიდ ადგილს უთმობს ფიზიკურ აღზრდას; „ისეთი დღე არ იყო, რომ გარგანთუას ფიზიკურ ვარჯიშობაში არ გაეტარებინა რამდენიმე ხანი; გიმნასტიკა, რომელსაც ასწავლიდნენ მას, მრავალ-ფეროვანი იყო და გამოიხატებოდა სირბილში, ხტუნაობაში, წყალში ხტომაში და სხვა". ასევე ა. ტატუნაშვილი აღფრთოვანებულია იან-ამოს-კომენსკის შემოქმედებით. იგი იეზუიტთა სკოლების პრაქტიკასაც სამაგალითოდ მიიჩნევს, რამდენადაც „ფიზიკურ განვითარებას იეზუიტები დიდს ყურადღებას აქცევდნენ... გიმნასტიკისათვის და სხვადასხვა სათამაშოებისათვის განსაკუთრებული დრო ჰქონდათ დანიშნული" (1902 წ. № 9-10).

ცხადია, ასე ესმოდა რა ფიზიკური აღზრდის როლი ბავშვთა საერთო აღზრდაში, ჟურნალი ვერ ფარავდა გულისწყრომას საქართველოს სკოლებში ფიზიკური აღზრდის შეუფასებლობის გამო. იმის ნაცვლად, რომ „ეხლა ბავშვებს ვაყენებდეთ სწორე გზაზე ჯანის სისაღის და ბედნიერების მისაღწევად, ხმარობენ ყოველნაირ ძალას, რომ დააყენონ ის სრულიად წინააღმდეგ გზაზედ, სადაც ვერაფერს იძენს იგი გარდა უმსგავსოებისა და შეცდომებისა" (1903 წ. № 11-12).

ფიზიკური აღზრდის საშუალებათაგან „მოგზაურს" განსაკუთრებით მოსწონს ცხენოსნური სპორტი, ქართული ჭიდაობა, ტანვარჯიში, სხვადასხვა თამაშობა, ფიზიკური შრომა და სხვ. ქართული ჭიდაობის მიმართ ეს მოწონება პირველ ყოვლისა გამოთქმულია იმის გამო, რომ იგი რაინდულ თვისებებს ზრდის ახალგაზრდობაში. ნ. ურბნელის (ნ. ხიზანიშვილი) ერთი ეთნოგრაფიული ხასიათის წერილის მიხედვით („ხმალში გატანება". 1901 წ. № 1), ჭიდაობის სხვა სახეობათაგან განსხვავებით; ქართულ ჭიდაობას ის უპირატესობა აქვს, რომ „ჭიდაობის დროს ცალიერ წაქცევას დამარცხებულად არ სთვლიან, — მიწაც უნდა აალოკინოს ზურგითა".

სასკოლო ფიზიკური აღზრდის საშუალებათა შორის „მოგზაური" განსაკუთრებულ პოპულარიზაციას უწევს ტანვარჯიშს. წერილში — „რა არის გაკვეთილი?" (1902 წ. № 9-10) ვკითხულობთ: „მოგეხსენებათ რა საგანიც არის გიმნასტიკა. გარეგნობით იგი სავსებით მატერიალური სასწავლო საგანია, გაკვეთილები მისი მხოლოდ სხეულის სხვა-და-სხვა მოძრაობისაგან შესდგება. მაგრამ, ეჭვს გარეშეა, თვით ეს საგანიც ისე შეიძლება მოვაწყოთ, რომ მასაც დიდი აღმზრდელობითი გავლენა ჰქონდეს მოსწავლეებზე, რადგანაც, როცა მოსწავლენი ასრულებენ გიმნასტიკის რომელიმე სავარჯიშოს, ამით ისინი იმავ დროს სწავლობენ და ეჩვევიან უწყებულს წეს-რიგს, ძალისხმევას, სიძნელეთა დაძლევას, გამბედაობას, სიმამაცეს და სხვა".

წერილში გამოთქმული აზრი გიმნასტიკის დახმარებით ფიზიკური და ნებელობითი თვისებების აღზრდის შესახებ ადრეც ხშირად აღნიშნულა ქართულ პრესაში, მაგრამ აქ მეორე მითითებაა საინტერესო, კერძოდ: ზემოთ ჩამოთვლილი ძვირფასი თვისებები მუშავდება აღსაზრდელში მხოლოდ გიმნასტიკის სწორი, გამართლებული მეთოდებით ჩატარების შემთხვევაში, რადგან „წესიერებას მოკლებული გიმნასტიკის გაკვეთილი გაცილებით უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო".

„მოგზაურში" ფიზიკური განვითარების საუკეთესო საშუალებად წარმოდგენილია ფიზიკური შრომაც. ამასთან დაკავშირებით ჟურნალმა მეტად ორიგინალურად გააშუქა აქტიური დასვენების პრობლემა. ამ საკითხს სპეციალური წერილები უძღვნეს ი. როსტომაშვილმა, ვ. დანილევსკიმ (დაიბეჭდა ი. კვიცარიძის ავტორიზებული თარგმანი) და სხვებმა, მაგრამ გიორგი ჩარხიშვილის წერილი „შრომა და მოსვენება" ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თანამედროვე მეცნიერ-ფიზიოლოგის ნაშრომს ვკითხულობთ და არა 65 წლის წინ ნაკლებად ცნობილ ჟურნალში დაბეჭდილ წერილს. მოგვყავს ნაწყვეტი ამ წერილიდან: „რბილ დოშაკზედ უსაქმოდ წოლაზედ და განცხრომით მოსვენებაზედ სხვა რაღა მოსვენება უნდა იყოს სასიამოვნო, მაგრამ აბა ერთი თუნდა ნახევარი საათით დაწექით უმოძრაოდ; თქვენ მალე იგრძნობთ ტანჯვას და სხეულის ისეთსავე ცვეთას ანუ დაღალვას, როგორსაც მხოლოდ რომელიმე ფიზიკური შრომის დროს იგრძნობდით.

გამოდის, რომ უქმი მოსვენებაც ისეთივე მავნებელი ყოფილა, როგორც გადაჭარბებული შრომა. აი, ამიტომ არის საჭირო, რომ შრომის და მოსვენების დროს, ჩვენ ხშირ-ხშირათ ვიცვლიდეთ ჩვენს მდგომარეობას, რომ დაღლილმა სახსრებმა დანჯაგი შემოიგრიბონ და შესვენებულმა ნაწილებმა კი იმოქმედონ; მაშინ არც ერთს და არც მეორეს არა დაუშავდება რა, ე. ი. ჩვენი სხეული ყოვლად ჯან-საღი დარჩება. ჩვენში ჰგონიათ, რომ ვინც ტყეში შეშას ჭრის ან ზურგით ტვირთს ეზიდება, ის იღლებაო, ხოლო ვინც მაგიდის წინ არხეინად სკამზედ ზის და წერს, ან კითხულობს, იმას რა დაჰღლისო! მაგრამ ეს სულ შემცდარი აზრია. გონებით შრომა, ე. ი. კითხვა, წერა, ფიქრი, ისეთივე დამღლელია ადამიანისა, როგორც სხეულით მუშაობა.

სხეულისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ერთის მხრით ჩვენი სხეულის სახსრები შრომით იღლებოდნენ, ხოლო მეორე მხრით კი — მოსვენებით ახლის ძალ-ღონით იკრიფებოდნენ, ე. ი. ცოცხალი ადამიანის სხეული მუდამ ასეთს შეუყენებელ ცვლილებებს უნდა ექვემდებარებოდეს, თუ გვინდა, რომ იგი მარად კარგად და ჯან-საღად იყოს" (1904 წ. № 1-2).

„მოგზაურში" ვხვდებით მეტად საინტერესო ცნობებს ქართულ ხალხურ სპორტზე, შამილის ფიზიკურ მომზადებაზე, ზოგიერთ ქართველ ფალავანზე. საერთოდ, ფიზიკური აღზრდის საკითხებს ჟურნალმა „მოგზაურმა" 30-მდე წერილი მიუძღვნა და თავისი მორიდებული წვლილი შეიტანა საქართველოში ფიზიკური აღზრდის იდეების განვითარებაში.

ა. ციბაძე,

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს „სპარტაკის" საოლქო საბჭოს სპარტაკიადა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს ეძღვნება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრები გუნდები.

# რვიდან ოთხ სახეობაში...

სპარტაკელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, შაშში, ხელბურთში, ტყვიის სროლასა და მაგიდის ჩოგბურთში.

ოთხ სახეობაში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა. ფრენბურთში იმარჯვეს წყალსადენის სპორტსმენებმა, მოშაშეთა ტურნირში ყველას აჯობა კავშირგაბმულობის კვანძის ნაკრებმა, კალათბურთში უძლიერესი აღმოჩნდა ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — სამხატვრო სასწავლებლის წარმომადგენლები.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

# ოსტატთა ოჯახი მრავლდება

ბათუმის „განთიადის" საცურაო აუზში სამ დღეს გრძელდებოდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება სპორტკლუბების მოცურავეთა შორის. სტარტზე გამოვიდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, რუსთავისა და გაგრის 136 სპორტსმენი.

ქების ღირსია თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. ფეოქტისტოვი, რომელმაც 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი — 1.11,9.

ასევე წარმატება ხვდა ბათუმელ სპორტის ოსტატობის კანდიდატს ა. ბუკაშკინს, რომელმაც 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ჩემპიონობაც დაისაკუთრა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა — 1.02,4.

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს თასი „უშბის" სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. II ადგილზეა „გამარჯვება", III — „ფეიქარი" (სამივე — თბილისი).

ასპარეზობაში ნაჩვენებია 2 სპორტის ოსტატის, ამდენივე სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და 10 პირველი თანრიგის შედეგი. ბათუმის, ჭიათურის, ქუთაისის, გაგრის კოლექტივებმა სარბიელზე ახალბედა მოცურავეები გამოიყვანეს, რაც მოწმობს, რომ ამ ქალაქებში მნიშვნელოვნად ამაღლდა ბავშვებს შორის მუშაობა.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## წერილების კვალდაკვალ

# SOS!

ჩვენი გაზეთის 15 აგვისტოს ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილების მიმოხილვაში ხობის რაიონის სოფელ თორსის ახალგაზრდები გვწერდნენ, რომ მათი სოფლის საბჭოთა მეურნეობა „განთიადში" სპორტული ბაზები არ არის და დახმარებას გვთხოვდნენ.

როგორც საქართველოს ალკკ ხობის რაიკომის მდივანმა გ. გვიჩიამ, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. სანიკიძემ და „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. ჟორჟოლიანმა რედაქციას აცნობეს, წერილში მოყვანილი ფაქტი შემოწმებით დადასტურდა. კომკავშირის ხობის რაიკომმა, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა, „კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ, სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „განთიადის" დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დასახეს ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შეიძინეს სპორტული ინვენტარი და ფორმები, მოეწყო ახალგაზრდობის შაბათობა სპორტმოედნების წესრიგში მოსაყვანად. მეურნეობას ამჟამად უკვე აქვს ფეხბურთის 3 მინდორი, ფრენბურთის 3 და კალათბურთის 1 მოედანი. ჩამოყალიბდა ჭადრაკის, შაშის, მძლეოსნობის, ფეხბურთისა და ფრენბურთის სექციები.

1970 ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

# იმედის ნაპერწკალი

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 6 ოქტომბერი.

„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:2 (1:2).

„დინამო“: პროხოროვი, ტროშკინი, ბილოუსი, ლევჩენკო, მატვიენკო, ვერემეევი, ბოგოვიკი, კაშჩეი, პუზახი, სერებრიანიკოვი (ვანკევიჩი), ხმელნიცკი.

„ტორპედო“: გოგია, ჩიტაური, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ანდღულაძე, ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 „დინამოს“ სასარგებლოდ.

მთელი მატჩის მანძილზე კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ სამხრეთელებს ამან გუნება როდი გაუფუჭა. ისინი თავიდანვე თავგამოდებით იბრძოდნენ გამარჯვებისთვის, კიეველები კი, პირიქით, ერთობ უნიათოდ და უგემოდ მოქმედებდნენ. „ტორპედომ“ პირველ წარმატებას მიაღწია მე-4 წუთზე, როცა ერქომაიშვილმა ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში. 20 წუთის შემდეგ პუზაჩმა წონასწორობა აღადგინა, მაგრამ ტაიმის დასასრულს (41-ე წ.) კვლავ ერქომაიშვილმა ისახელა თავი და ანგარიში გაზარდა.

ეს იყო გამარჯვების გოლი, ვინაიდან შესვენების შემდეგ ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო კარის აღება. კიეველები ბევრს ეცადნენ ქულა მაინც გადაერჩინათ, მაგრამ ამაოდ.

ტორპედოელებმა მთელი თავიანთი ძალა ჩააქსოვეს ამ მატჩში და ღირსეულადაც გაიმარჯვეს. ამ მოგებით „ტორპედოს“ „ა“ კლასის უმაღლეს ჯგუფში დარჩენის ერთგვარი შანსი გაუჩნდა.

ო. გუჩმა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# „ტრადიციულად“...

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 6 ოქტომბერი.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 2:1 (2:1).

„სპარტაკი“: მაუფა, ლოგოფეტი, ივანოვი, ლოვჩევი, კისელიოვი, აბრამოვი, ბულგაკოვი (კალინოვი), ჰუსაინოვი, ოსიანინი, პაპაევი, სილაგაძე.

„დინამო“: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი (მაჩაიძე), კუტივაძე, მეტრეველი, ვ. ნოდია, ლ. ნოდია (ქარქაშაძე).

მსაჯი ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები — 5:2 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

ვინც ტელევიზორით ადევნებდა თვალს ამ ორი გუნდის მატჩს, მისთვის ყოველივე ნათელია: მოსკოველები იბრძოდნენ მთელი მონდომებით, დაუოკებელი ჟინით. რაც მთავარია, იგრძნობოდა, რომ მინდორზე იყო მონოლითურად შეკრული კოლექტივი — ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის. „დინამოს“ სწორედ ეს აკლდა და პირველ ყოვლისა ამან განაპირობა მისი მორიგი „ტრადიციული“ მარცხი სხვის მინდორზე. დინამოელთა გულგრილობა, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ დიდ გაკვირვებას იწვევს.

ახლა მოკლედ იმაზე, თუ როგორ წარიმართა თამაში. სპარტაკელები მთელ მატჩში მწვავედ უტევდნენ, თბილისელთა კონტრშეტევები კი უმეტესად დუნე და სიმძაფრეს მოკლებული ჩანდა. შეიძლება ეს წვიმის ბრალიც იყო (მე-20 წუთიდან განუწყვეტლივ წვიმდა), მაგრამ მოსკოველებიც ხომ იმავე ამინდში, იმავე მინდორზე თამაშობდნენ და საკმაოდ ტემპიანადაც. სპარტაკელთა მცველი ლოვჩევი ხშირი სტუმარი იყო თბილისელთა კართან. მე-13 წუთზე სწორედ მან სრულიად მარტივ ვითარებაში ისარგებლა „დინამოს“ მცველთა დაუდევრობით და დაახლოებით 25 მეტრიდან დარტყმით გახსნა ანგარიში. 12 წუთის შემდეგ კუტივაძემ იმავე მანძილიდან გაიტანა საპასუხო გოლი.

ამის მერე წუთიც არ იყო გასული, რომ ოსიანინი სტეფანიას პირისპირ აღმოჩნდა და ოსტატურად გაგზავნა ბურთი კარის დაბალ კუთხეში.

შესვენების შემდეგ ბურთმა ბადე ვერ მოძებნა, თუმცა ამის შესაძლებლობა სპარტაკელებს ბევრჯერ ჰქონდათ. ჯერ ცარიელ კარში ბურთი ვერ მოახვედრა ოსიანინმა, შემდეგ ჰუსაინოვის ბურთი კარის ზედა ძელს მოხვდა, მერე კვლავ ოსიანინმა მოხერხებული მდგომარეობიდან ააცდინა...

თბილისელებმა ანგარიშის გაქვითვის ორიოდე კარგი შესაძლებლობა დაკარგეს და ბოლოს დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

ვ. პავლოვი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

უმაღლესი ლიგა „ა“ კლასი

# გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 26 | 16 | 4 | 6 | 40—16 | 36 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 26 | 15 | 6 | 5 | 41—18 | 36 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 27 | 11 | 12 | 4 | 41—22 | 34 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 27 | 10 | 12 | 5 | 25—20 | 32 |
| „დინამო“ (თბილისი) | 26 | 11 | 7 | 8 | 34—24 | 29 |
| „დინამო“ (კიევი) | 28 | 12 | 5 | 11 | 30—26 | 29 |
| „დინამო“ (მინსკი) | 27 | 9 | 9 | 9 | 30—25 | 27 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 26 | 7 | 13 | 6 | 23—23 | 27 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 26 | 9 | 9 | 8 | 26—28 | 27 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 26 | 8 | 10 | 8 | 22—18 | 26 |
| „არარატი“ (ერევანი) | 26 | 9 | 7 | 10 | 23—26 | 25 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 27 | 8 | 7 | 12 | 26—36 | 23 |
| „ფახთაკორი“ (ტაშკენტი) | 28 | 6 | 11 | 11 | 20—41 | 23 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 27 | 7 | 8 | 12 | 22—33 | 22 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 29 | 6 | 10 | 13 | 22—34 | 22 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 26 | 7 | 7 | 12 | 27—46 | 21 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 26 | 4 | 7 | 15 | 22—38 | 15 |

„ბ“ კლასი

# შინ: 3:1

II ზონის I ქვეჯგუფი

6 ოქტომბერს „მეტალურგს“ ბოლო მატჩი ჰქონდა საკუთარ მინდორზე (ამის შემდეგ იგი სტუმრად გამართავს შეხვედრებს). ამჯერად მისი მეტოქე იყო ლანჩხუთის „გურია“, რომელთანაც პირველ წრეში დამარცხდა. მასპინძლები რევანშის წყურვილით თამაშობდნენ და ამ მიზანს მიაღწიეს კიდეც.

30-ე წუთზე გაბრიჭიძემ კარგად ისარგებლა „გურიის“ კართან შექმნილი არეულობით და ზუსტად დაარტყა — 1:0.

34-ე წუთზე ფედიაევმა მინდვრის სიღრმიდან მიიღო ბურთი, მოატყუა მცველი, მის წინ მდგარი მეკარე იმედაძეც და ანგარიში გაზარდა.

ზუსტად ასეთივე ამბავი განმეორდა 41-ე წუთზე: ფედიაევმა მესამე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

53-ე წუთზე „გურიის“ თავდამსხმელმა პერტენავამ შეძლო ერთი გოლის გაქვითვა.

გაიმარჯვა „მეტალურგმა“ — 3:1.

რ. გაბრიჭიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

რუსთავი.



სოხუმში მიმდინარეობს ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 6 ქვეყნის წარმომადგენლები თამაშობენ. მათ შორის არიან შვეციის ჩემპიონი, ზიგენის საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე, საერთაშორისო ოსტატი უ. ანდერსონი, გდრ-ის ეროვნული ნაკრების წევრი, ლაიპციგელი სტუდენტი ლ. ფოგტი, თავიანთი ქვეყნების ჩემპიონები ი. ბარლე (იუგოსლავია), დ. პროდანოვი (ბულგარეთი), ტ. ხორვატი (უნგრეთი). საბჭოთა კავშირიდან შეჯიბრებაში მონაწილეობენ კიეველი ვ. პერესიპკინი, ერევნელი ა. პეტროსიანი, თბილისელი ე. უბილავა და სხვ.

I ტურში უბილავამ მოუგო პეტროსიანს, ა. ბელიავსკიმ (ლვოვი)— ბარლეს. ო. რომანიშინ (ლვოვი)—ა. პანჩენკოს (ჩელიაბინსკი), ფოგტ— ანდერსონის, პროდანოვ — პერესიპკინისა და მაკარიჩევ — ხორვატის პარტიები ყაიმით დასრულდა.

ტურნირი 20 ოქტომბრამდე გასტანს.

სურათზე: თამაშობენ უბილავა და პეტროსიანი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(ჩვენი სპეც. კორ.).

# საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „მესხეთი“ (ახალციხე) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 1:4. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

თამაში სტუმრების აშკარა უპირატესობით წარიმართა. შეხვედრის უკვე მე-2 წუთზე ქვირიამ მასპინძელთა კარი აიღო. მანვე 25-ე წუთზე გაზარდა ანგარიში. ტაიმის ბოლოს მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს — ჯერ თერჯოლელმა ჭელიძემ, მერე კი ახალციხელმა ვართანიანმა. შესვენების შემდეგ ქვირიამ კიდევ გაზარდა ანგარიში.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „მშენებელი“ (ბორჯომი) 3:1. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

მატჩი სწრაფ ტემპში დაიწყო. მალე ბორჯომელებმა ანგარიში გახსნეს, მაგრამ ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი წარმატება. მასპინძლებმა შესვენებამდე 2 საპასუხო გოლი გაიტანეს, შესვენების შემდეგ კი კიდევ გაზარდეს ანგარიში.

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ისანი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი დ. აზუთიძე (ქუთაისი).

მე-15 წუთზე თბილისელმა ჯაგაშვილმა აიღო მასპინძელთა კარი, 5 წუთის შემდეგ კი ჩოხატაურელმა დოლიძემ წონასწორობა აღადგინა. ამის შემდეგ ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია წარმატებას.

● „ქართლი“ (გორის რაიონი)— „ენგური“ (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (ხაშური).

● ასკ (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

პირველ ტაიმში არმიელებმა უპირატესობა ვერ გამოიყენეს. თამაშის დასასრულს მაქსიმენკომ, როგორც იქნა, გაიტანა ამ მატჩის ერთადერთი გოლი.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „გიგანტი“ (ლაითური) 6:2. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი)— „სინათლე“ (თბილისი) 0:2. მსაჯი ა. ისრაელაშვილი (ფოთი).

სტუმრები მასპინძლებს სჯობდნენ როგორც ტაქტიკურად, ისე ტექნიკურად. გამუდმებულმა იერიშმა მათ მე-15 წუთზე პირველი წარმატება მოუტანა. გოლი აივაზოვმა გაიტანა. მე-40 წუთზე ანგარიში გაზარდა სუხაშვილმა. შესვენების შემდეგ მასპინძლები ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, ხშირად ქმნიდნენ სახიფათო ვითარებას თბილისელთა კართან, მაგრამ სტუმართა დაცვა და მეკარე მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. ზესტაფონელმა ცინცაძემ 11-მეტრიანი საჯარიმოც კი ვერ გამოიყენა.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ვერ გაიტანა ბურთი. შესვენების შემდეგ ცხაკაიელმა ძაგანიამ გამარჯვება მოუტანა თავის კოლექტივს.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

## მეორე ჯგუფი

### I ზონა

„არაგვი (მცხეთა) — „მევენახე“ (ბოლნისი) 1:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ბამტრიონი“ (ახმეტა) 6:2, „შევარდენი“ (თბილისი) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 0:0, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „სპარტაკი“ (რუსთავი) 1:1, „მშენებელი“ (წალკა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 3:0. ახალქალაქის „აბულს“ ასპინძის „ვარძიასთან“ წაგება ჩაეთვალა.

### II ზონა

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლმეურნე“ (ქედა) 1:1, „დინამო“ (ქუთაისი) — „ჭოროხი“ (ბათუმი) 5:2, „ივერია“ (ხაშური) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 3:1, „კოლხეთი“ (ხობი) — „მექანიკოსი“ (სამტრედია) 5:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:1. აბაშის „განთიადს“ ადიგენის „განახლებასთან“ წაგება ჩაეთვალა.

# გათამაშების ცხრილი

## I ჯგუფი

მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 35 | 22 | 8 | 5 | 69—41 | 52 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 36 | 21 | 8 | 7 | 77—34 | 50 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 35 | 19 | 11 | 5 | 70—33 | 49 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 34 | 16 | 12 | 6 | 58—30 | 44 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 34 | 16 | 10 | 8 | 58—36 | 42 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 34 | 16 | 10 | 8 | 49—30 | 42 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 30 | 17 | 7 | 6 | 50—27 | 41 |
| „ისანი“ (თბილისი) | 36 | 12 | 17 | 7 | 41—33 | 41 |
| „სამცხე“ (აწყური) | 34 | 12 | 14 | 8 | 34—32 | 38 |
| „მზიური“ (გალი) | 33 | 10 | 16 | 7 | 39—35 | 36 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 36 | 11 | 13 | 12 | 50—52 | 35 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 35 | 13 | 9 | 13 | 46—57 | 35 |
| ასკ (თბილისი) | 35 | 13 | 8 | 14 | 40—44 | 34 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 36 | 10 | 13 | 13 | 35—39 | 33 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 34 | 8 | 14 | 12 | 36—53 | 30 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 34 | 9 | 11 | 14 | 39—37 | 29 |
| „ცისკარი“ (ხონი) | 35 | 8 | 13 | 14 | 24—37 | 29 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 35 | 6 | 14 | 15 | 25—43 | 26 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 36 | 5 | 15 | 16 | 39—67 | 25 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 35 | 4 | 10 | 21 | 38—74 | 18 |
| „მშენებელი“ (ბორჯომი) | 34 | 5 | 7 | 22 | 32—64 | 17 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 36 | 4 | 8 | 24 | 38—89 | 16 |

# სამნი მეოთხედფინალში

ალმა-ათაში გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩოგბურთში. საქართველოს ჩოგბურთელთა ერთი ნაწილი წარმატებით ასპარეზობს — ჩვენი 3 სპორტსმენი მეოთხედფინალში გავიდა.

მეოთხედფინალში გასვლამდე მეტრეველმა ძნელ ბრძოლაში დაამარცხა აქსანოვი (8:6, 8:6, 6:3), შემდეგ კი სძლია ტარპიშჩევს. მეტრეველი მეოთხედფინალში შეხვდება ლენინგრადელ ა. ივანოვს.

კაკულიამ მოუგო ლუნინს (6:3, 6:4, 7:9, 6:2) და თავის ძველ მეტოქეს კოროტკოვს. მეოთხედფინალში თბილისელს მოსკოველ ვიაჩ. ეგოროვთან ექნება საქმე.

მეოთხედფინალში გავიდა თბილისელი ივანოვაც, რომელმაც დაამარცხა ალმაათელი კროშინა.

## სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

# სახიფათო ზონაში

მოსკოვი. „ნაუკის“ სტადიონი. 6 ოქტომბერი.

საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 18:6 (0:0).

**საავიაციო ინსტიტუტი:** ჩუგარკინი, ს. ბაშინსკი, ლისოვი, შაპოვალოვი, იგნატოვი (ელისენკო), კაპლინი, კოშუტინი, რიბკინი, კოუინი, შახნაზაროვი (ცირიულნიკოვი), ლიგინი, ელიოხინი, სერგეევი, ჩერენკოვი, ა. ბაშინსკი.

**„ლოკომოტივი“:** ბენიაშვილი, ფეტვიაშვილი, კირტავა, სანებლიძე, დავითაია, მურღულია (დედაბრიშვილი), თეიმურაზ რუხაძე, ყიფიანი, ხარშილაძე, კიზირია, მიქაბერიძე, ფურცელაძე, გეგეშიძე, კორნევი, ნაცვლიშვილი.

მსაჯი ა. შელესტოვიჩი (ოდესა).

ამ წაგებით თბილისის „ლოკომოტივმა“ ერთობ გაირთულა საქმე — უმაღლეს ლიგაში რკინიგზელთა დარჩენის საკითხი ახლა ბოლო ტურის შედეგებზეა დამოკიდებული. 8 ოქტომბერს ისინი ერთ-ერთ აუტსაიდერს — მოსკოვის „დინამოს“ ხვდებიან. თუ წააგო, „ლოკომოტივი“ ლენინგრადის „ბურევესტნიკსა“ და კიევის „დინამოს“ მატჩში კიეველთა გულშემატკივარი უნდა იყოს, რათა უკრაინელთა გამარჯვებამ ლენინგრადელები ბოლო ადგილზე დატოვოს.

ერთი სიტყვით, ბოლო ტურზე ბევრია დამოკიდებული. ფაქტია, რომ მოსკოვის დინამოელები თბილისელებთან თავგანწირვით ითამაშებენ, რათა მატჩი მოიგონ და ქულებით „ავტომობილისტს“ გაუთანაბრდნენ. საკავშირო დებულებით, უმაღლეს ლიგას წლეულს უნდა გამოეთხოვოს ის გუნდიც, რომელიც მოსკოვის კოლექტივთა შორის ბოლო ადგილზე დარჩება.

რაც შეეხება საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან თბილისელთა ორთაბრძოლას, ეს ფინალურ შეხვედრებში რკინიგზელ რეგბისტთა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მათ პირველ ტაიმში. დასანანია, მაგრამ რკინიგზელები რატომღაც ყველა მეტოქესთან შეხვედრის პირველ ტაიმს ბრწყინვალედ ატარებენ, შესვენების შემდეგ კი ფარხმალს ყრიან. ახლაც ასე იყო. ამ მატჩში დიდი როლი იმანაც შეასრულა, რომ გუნდმა ჩამკეტის საქმე ვერ მოაგვარა: დაშავებულ თენგიზ რუხაძეს ღირსეული შემცვლელი არ აღმოაჩნდა. ნაცვლიშვილმა, რომელსაც ჩამკეტის ფუნქციები დაეკისრა, რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

მასპინძელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სერგეევი, რომელიც დაკიდებულ ბურთზე დროულად გადიოდა და რკინიგზელებს სახიფათო მდგომარეობაში აყენებდა. 55-ე წუთზე ფეჭვიაშვილმა ცენტრში უხეშად ითამაშა და კაპლინს თბილისელთა კარში ბურთის გატანა არ გასჭირვებია — 3:0.

თამაში გამძაფრდა. თბილისელებმა, განსაკუთრებით გეგეშიძის, მიქაბერიძისა და კიზირიას მეცადინეობით მეტოქეს ზედიზედ შეუტიეს, მაგრამ გოლი... საკუთარ კარში მიიღეს. როცა სტუდენტებმა ბურთი თბილისელ თავდამსხმელთა უკან დაკიდეს, მას პირველი ნაცვლიშვილი დაეუფლა, მაგრამ კარგად ვერ მოიგერია. ბურთი მასპინძლებმა ჩაიგდეს და „ლოკომოტივის“ ჩათვლის მოედანზე დადეს, მერე კი რეალიზაციაც ზუსტად გამოიყენეს — 8:0.

კიზირიას ზედიზედ ორჯერ ჰქონდა ანგარიშში სხვაობის შემცირების შანსი, მაგრამ ორივეჯერ უხეიროდ დაარტყა. შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე თბილისელმა შერკინებს მოთამაშეებმა ბურთი მარცხენა ფრთიდან ფეტვიაშვილს მიაწოდეს. ფეტვიაშვილისგან ბურთი სანებლიძემ მიიღო, მოსკოველთა ჩათვლის მოედანში შეიჭრა და ანგარიში გახდა 8:3. 2 წუთის შემდეგ კი ანალოგიური ჩაჭრა მარჯვენა ფრთაზე განახორციელა კორნევმა — 8:6. მიქაბერიძემ ორივეჯერ ვერ გამოიყენა რეალიზაცია. დარჩენილ დროში მოსკოველებმა კიდევ 5 ქულა მოიპოვეს.

• • •

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — „ბურევესტნიკი“ 33:6, „ფილი“ — კიევის „დინამო“ 12:3, მოსკოვის „დინამო“ — „ავტომობილისტი“ 3:0.

რ. აიწურაძე.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საჰაერო აკადემია | 5 | 0 | 1 | 97—32 | 10 |
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) | 4 | 1 | 1 | 41—21 | 9 |
| „ფილი“ (მოსკოვი) | 4 | 1 | 1 | 55—38 | 9 |
| „დინამო“ (კიევი) | 1 | 3 | 2 | 30—43 | 5 |
| „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) | 2 | 1 | 3 | 41—57 | 5 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 1 | 2 | 3 | 39—59 | 4 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 1 | 1 | 4 | 24—48 | 3 |
| „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) | 1 | 1 | 4 | 42—71 | 3 |

# ყინული დაიძრა

ერევანი, 7 ოქტომბერი. ორი გალინა — ერმოლაევა და ცარიოვა დღეს განუყითხავად განაგებენ მსოფლიოს ქალთა ველოსპორტს. დიდი თუ მცირე მასშტაბის შეჯიბრებებში ისინი, როგორც წესი, მხოლოდ უმაღლეს ტიტულებს სცნობენ და ამიტომაც მუდამ ბრძოლის ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე იმყოფებიან. ცხადია, არავის გაკვირვებია, როცა საკავშირო თასის გათამაშების ბოლო დღეს მათი გზები და ინტერესები კვლავ ერთმანეთს დაუპირისპირდა.

ამჯერად მეტოქეებმა საასპარეზოდ 500-მეტრიანი დისტანცია აირჩიეს (ტულის საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედალი ამ სახეობაში გაუთამაშებელი დარჩა). რბოლა, სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი უფროსმა გალინამ — ერმოლაევამ მოიგო (37,08). ცარიოვას შედეგი შესამჩნევად დაბალი იყო (37,25). III ადგილზე გავიდა მოსკოველი გ. მარკოვა (37,47).

ჩემპიონის კიდევ ერთი, ბოლო მედალი გათამაშდა წყვილთა რბოლებში (ერთ მედლად ითვლება, მაგრამ ორივე სპორტსმენს გადაეცემა). აქ უდავო იყო უკრაინული წყვილების უპირატესობა. ისინი უკეთ არჩევდნენ შეცვლისთვის ხელსაყრელ მომენტს, რითმულად მუშაობდნენ და რბოლის დასაწყისიდან ბოლომდე ერთთავად ლიდერთა შორის იყვნენ. ჩემპიონი გახდა ა. სტარკოვ— დ. პოლიშჩუკის წყვილი. ვერცხლის მედლები ხვდათ ა. გოლდასა და ა. დაშკოვიჩს. უზბეკეთის წარმომადგენლებმა ა. იუდინმა და ვ. აბრამოვმა ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

მთავარი პრიზის — სსრ კავშირის თასის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. იგი ზედიზედ მეორედ მიიღო უკრაინის ძლიერმა კოლექტივმა, სადაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხარკოველი სტუდენტი ს. კრავცოვი. სამი გამარჯვება ერთ ტურნირში იმის მაჩვენებელია, რომ ამ ნიჭიერი ველოსიპედისტის ოსტატობა უფრო განმტკიცდა და დაიხვეწა. II ადგილზე გავიდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები, III — მოსკოველი სპორტსმენები.

სპეციალისტთა საერთო აღიარებით, ერევნის სტარტებმა საინტერესოდ ჩაიარა. მაგრამ ამ შეჯიბრების მნიშვნელობა ერთიორად მეტი იქნებოდა, ო. ფხაკაძეც რომ გამოსულიყო სარბიელზე. და მაინც, ველოსპორტის მთელ რიგ სახეობაში, როგორც იტყვიან, ყინული დაიძრა. სომხეთის დედაქალაქში დამყარებული 4 საკავშირო რეკორდი იმის სიგნალია, რომ მომავალშიც ახალ წარმატებებს უნდა ველოდეთ.

ახლა კი გთავაზობთ ამ ახალ რეკორდებს:

500 მ ხელით — ს. კრავცოვი (ხარკოვი) — 28,9.
1000 მ ხელით — ა. პოლეტაევი (მოსკოვი) — 1.02,59.
5 კმ ინდივიდ. რბოლა — ძ. ლაცისი (რიგა) — 6.17,29.
10 კმ ადგილიდან — ვ. საბლუკოვი (კურსკი) — 12.58,21.



სტარტი.

მ. თათარიშვილის ფოტო.

## მწმენდელი... მწმენდელთა წინააღმდეგ

გამოჩენილი ფეხბურთელი პიკი, რომელიც იტალიის ფეხბურთში სანიმუშო „ლიბეროდ“ (მწმენდელად) ითვლებოდა, ახლა 35 წლისაა. ამ რამდენიმე ხნის წინ იგი ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელად დაინიშნა.

და აი, წარსულში განთქმულმა „ლიბერომ“ გაილაშქრა მწმენდელთა წინააღმდეგ. მას მიაჩნია, რომ მწმენდელი თანამედროვე ფეხბურთში საერთოდ არაა საჭირო. პიკის აზრით, იტალიურ (და, საერთოდ, თანამედროვე) ფეხბურთში მომავალი მხოლოდ იმ გუნდებს აქვთ, რომლებიც შეტევაზე და მხოლოდ შეტევაზე აკეთებენ აქცენტს.

პიკის აზრით, „კატენაჩიო“ ფეხბურთს უკან ეწევა და იგი საბოლოოდ უნდა დასამარდეს.

# კენჭისყრა გაიმართა

ამსტერდამი, 6 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ფეხბურთელთა გუნდების ორი მთავარი ტურნირის — ქვეყნების ჩემპიონთა თასის და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მერვედფინალების მონაწილეების კენჭისყრა.

აი, მისი შედეგებიც:

### ჩემპიონთა თასი

„უოტერფორდი“ (ირლანდია) — „სელტიკი“ (შოტლანდია)
„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „სლოვანი“ (ჩეხოსლოვაკია)
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — უტა (რუმინეთი)
„კარლ ცაისი“ (გდრ) — „სპორტინგი“ (პორტუგალია)
„სტანდარდი“ (ბელგია) — „ლეგია“ (პოლონეთი)
„კალიარი“ (იტალია) — „ატლეტიკო“ (ესპანეთი)
„ბორუსია“ (გფრ) — „ევერტონი“ (ინგლისი)

### თასების მფლობელთა თასი

„გიოზთეპე“ (თურქეთი) — „გურნიკი“ (პოლონეთი)
ცსკა (ბულგარეთი) — „ჩელსი“ (ინგლისი)
„რეალი“ (ესპანეთი) — „ვაკერი“ (ავსტრია)
„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ფორვერტსი“ (გდრ)
„ჰონვედი“ (უნგრეთი) — „მანჩესტერ-სიტი“ (ინგლისი)
„ბრიუგე“ (ბელგია) — „ციურიხი“ (შვეიცარია)
„კარდიფ-სიტი“ (უელსი) — „ნანტი“ (საფრანგეთი)

ამ ორი ტურნირის მერვედფინალური მატჩები გაიმართება 21 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე.

• • •

შვეიცარიის „ბაზელი“, რომელმაც ამას წინათ მოსკოვის „სპარტაკს“ გადაუღობა გზა, ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში ამსტერდამის „აიაქსს“ შეხვდება.

თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში ლვოვის „კარპატის“ ამასწინანდელი მეტოქე — ბუქარესტის „სტიაუა“ მერვედფინალში ასევე ჰოლანდიურ კლუბს შეხვდება. ესაა „ეინდჰოვენი“.

გაგახსენებთ, რომ „აიაქსმა“ შეჯიბრების პირველ ეტაპზე „ბოლო მოულო“ ალბანეთის „ნენდორის“, ხოლო „ეინდჰოვენმა“ ჩეხოსლოვაკიის „გოტვალდოვს“ აჯობა.

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

• •

### კრიტიკის საპასუხოდ

გფრ-ის ნაკრები, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, თავისი შედეგებით უდავოდ კმაყოფილია. იგივე ითქმის ჰ. შიონზე, რომელიც მექსიკიდან ფრთაშესხმული დაბრუნდა.

ეს ყველაფერი ასე, მაგრამ შიონმა გადაწყვიტა ანგარიში გაუსწოროს გფრ-ის ტელევიზიის ერთ-ერთ კომენტატორს, რომლის წინააღმდეგაც სასამართლო საქმე აღძრა.

რა მოხდა? თურმე ნუ იტყვით, მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩის ტელეტრანსლაციის დროს ამ კომენტატორმა, რომელიც ძალიან უკმაყოფილო იყო გარმანელთა თამაშით მაროკოელებთან, არაერთი უხეში გამოთქმა იხმარა არა მარტო ფეხბურთელების, არამედ მწვრთნელის მიმართაც. დასწამა მას „გულგრილობა“, „უნიჭობა“, „უნიათობა“ და სხვა ამგვარი არსებული თუ არარსებული ცოდვა.

შიონი მოითხოვს ტელეკომენტატორისთვის ჭკუის სწავლებას და მის სათანადოდ დაჯარიმებას.

• •

### „რეიპასი“ — ფინეთის ჩემპიონი

ფინეთის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ლაჰტის „რეიპასმა“, რომელმაც ბოლო ტურში გადამწყვეტი მატჩი მოუგო „ილვესს“ — 2:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ქალთა სპორტი

● მაიენ-აიფელი, 6 ოქტომბერი. გფრ-ის მძლეოსან ქალთა შეჯიბრებისას ხუთჭიდში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ი. მიკლერ-ბეკერმა 100 მ 11,5 წამში გაირბინა. სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენი ჰ. როზენდალი 663 სანტიმეტრზე გადახტა და ბეკერს სანტიმეტრით აჯობა.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან ვეტერანი ტანმოვარჯიშის, რესპუბლიკის ნაკრების მრავალგზის წევრის, სპორტის ოსტატ

**სოსო (თეიმურაზ) ვასილის ძე კიკნაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04435